ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 7

29 იანვარი
"---" -------- 2021 წ

ქ. თბილისი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა" (ს/ნ: 202886788) და შპს „ალმას" (ს/ნ: 204873388) შორის 2019 წლის 6 თებერვლის „შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" (ს/ნ: 202886788) ბალანსზე რიცხულ ინფრასტრუქტურაზე, მოძრავ და უძრავ ქონებაზე არსებულ სარეკლამო ადგილებზე რეკლამის განთავსების ვადიანი, სასყიდლიანი უფლების გადაცემისა და ნებართვის მქონე თეთრ ტაქსებზე რეკლამის განთავსების შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ამავე კოდექსის 127[2] მუხლის პირველი პუნქტისა და 163[3] მუხლის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის,„შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" (ს/კ:202886788) ბალანსზე რიცხულ ინფრასტრუქტურაზე, მოძრავ და უძრავ ქონებაზე არსებულ სარეკლამო ადგილებზე რეკლამის განთავსების ვადიანი, სასყიდლიანი უფლების გადაცემისა და ნებართვის მქონე თეთრ ტაქსებზე რეკლამის განთავსების შესახებ" ხელშეკრულების 11.1, 11.2 და 11.3 პუნქტების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 30 დეკემბრის №20.1658.2041 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა" (ს/ნ: 202886788) და შპს „ალმას" (ს/ნ: 204873388) შორის 2019 წლის 6 თებერვლის „შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" (ს/ნ: 202886788) ბალანსზე რიცხულ ინფრასტრუქტურაზე, მოძრავ და უძრავ ქონებაზე არსებულ სარეკლამო ადგილებზე რეკლამის განთავსების ვადიანი, სასყიდლიანი უფლების გადაცემისა და ნებართვის მქონე თეთრ ტაქსებზე რეკლამის განთავსების შესახებ" ხელშეკრულებაში, "შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" (ს/ნ 202886788) ბალანსზე რიცხულ ინფრასტრუქტურაზე, მოძრავ და უძრავ ქონებაზე არსებულ სარეკლამო ადგილებზე რეკლამის განთავსების ვადიანი, სასყიდლიანი

უფლების გადაცემისა და ნებართვის მქონე თეთრ ტაქსებზე რეკლამის განთავსების ელექტრონული აუქციონის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 19 დეკემბრის №18.1047.1491 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 7 ოქტომბრის №20.1163.1463 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 30 დეკემბრის №20.1658.2041 განკარგულებისდანართის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**